

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ სიმონიშვილის
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (2022-2023)

2021 წლის 03 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის
საკრებულოს წევრი.

აღნიშნული პერიოდიდან დღემდე დასწრებული ვარ საკრებულოს ყველა ჩატარებულ
სხდომას. ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ვესწრები კომისიის
სხდომებს.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ანაგიდან,
აქტიურად ვმონაწილეობ სოფელ ანაგაში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების
განხორციელების საკითხების მომზადება-განხილვაში.

სოფელში ფაქტობრივად გადაიჭრა მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგების
საკითხი, რომელიც განსაკუთრებით მწვავედებოდა ზაფხულის თვეებში. თითქმის დასრულდა
2020 წელს დაწყებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სასმელი წყლის
ცენტრალიზებულად მიწოდებას. დამონტაჟდა მრიცხველები, მოეწყო ორი ჭაბურღილი,
აშენდა ერთი 500 ტონიანი და გარემონტდა მეორე, 1000 ტონიანი რეზერვუარი. პროექტის
ჩაბარების შემდეგ, ადმინისტრირებას გადაიბარებს „გაერთიანებული წყალმომარაგების
კომპანია“ და ის მცირე ხარვეზებიც რაც დღეისთვის არის, სრულად აღმოიფხვრება.

მიმდინარეობს „მთავარანგელოზის“ გზაზე ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა, თუმცა ამ
მხრივ სამწუხაროდ ძალიან ჩამოვრჩებით მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებს. ამასთან რთული
რელიეფური პირობებისა და ხშირი ღვარცოფული წვიმების გამო, დიდი პრობლემები ექმნება
შიდა საუბნო გზებს, რომელთა წესრიგში მოყვანას დრო და შესაბამისი მძიმე ტექნიკა
ჭირდება. ანალოგიური პრობლემებია სავარგულებთან მისასვლელ გზებზეც.

სოფლის დახმარების პროგრამით, მოსახლეობის მოთხოვნით, ორ დიდ უბანში ეწყობა გარე
განათება, რაზეც იხარჯება 20000 ლარი.

სოფელ ანაგისთვის მნიშვნელოვანია ბაკურციხე-წნორის გზის მშენებლობის მიმდინარეობა,
რომლის დამთავრების შემდეგ სოფელი განიტვირთება დიდი ტევადობის სატვირთო
ავტომანქანების მოძრაობისაგან, რაც ვიწრო ცენტრალური გზისა და რთული რელიეფური
მდგომარეობის გამო ბევრ პრობლემას ქმნის.

დამთავრდა დამისამართებული ქუჩების სახელდება, შესაბამისად ანაგაში არსებულ 36-ვე
ქუჩას აქვს თავისი დასახელება.

ყოველდღიური შეხვედრები მაქვს სოფელ ანაგის მოსახლეობასთან. მოსახლეობას
შეძლებისდაგვარად ვეხმარები მათი საყოფაცხოვრებო და სხვა პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი: ვ -



- /ვ.სიმონიშვილი/

18.10.2023 წელი.